დამტკიცებულია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ.
სახელმწიფო კონსერვატორიის სენატის
2013 წლის 29 იანვრის სხდომაზე # 2

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2012 წლის საქმიანობის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2012 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

I. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმების სრულყოფა, კონსერვატორიის განვითარება

- საანგარიშო პერიოდში უკუკავშირის მიღებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით თსკ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად იღებდა მონაწილეობას საკონსულტაციო შეხვედრებში სტუდენტთა ჯგუფებთან, აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- კონსერვატორიის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ზამთრის და გაზაფხულის სესიების მონიტორინგში;
- პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობდა პროგრამების სრულყოფისა და სილაბუსების განახლების პროცესში;
- საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმების განვითარებაზე და მოქნილი სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაზე მუშაობის დაწყება;
- საანგარიშო პერიოდში სამსახურმა სასწავლო დეპარტამენტისა და კონსერვატორიის სათათბიროს წევრებთან ერთად მიიღო მონაწილეობა საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმების განვითარების ფარგლებში მოდიფიცირებული სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების განხილვა-დახვეწაში. მუშაობა დასრულა მოდიფიცირებული მოქნილი სასწავლო გეგმების შექმნით. მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები დამტკიცებულია თსკ სენატის სხდომაზე.

მოდიფიცირებულია შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები:

- ✓ საბაკალავრო პროგრამა - კომპოზიცია

- ✓ საბაკალავრო პროგრამა - საშემსრულებლო ხელოვნება
- ✓ საბაკალავრო პროგრამა - ჯაზის ხელოვნება
- ✓ საბაკალავრტო პროგრამა - მუსიკა და დღევანდელობა
- ✓ სამაგისტრო პროგრამა - მუსიკისმცოდნეობა
- ✓ სამაგისტრო პროგრამა - კომპოზიცია
- ✓ სამაგისტრო პროგრამა- საშემსრულებლო ხელოვნება

- მეოთხე კვარტალში კონსერვატორიის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით მოხდა ახალი სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ამოქმედებული მოდიფიცირებული სასწავლო საგანმანათლებლო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმებში შემავალი სილაბუსების დახვეწა;
- შემუშავდა სტუდეენტების ცოდნის შეფასება-შემოწმების სტანდარტები ახალი საბაკალავრო პროგრამებისათვის - „ ჯაზის ხელოვნება“ და „მუსიკა და დღევანდელობა“ და ადრე გამომუშავებული შეფასების სტანდარტების მისადაგება მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსის სილაბუსებს;

1.2012 წლის ნოემბერში თსკ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და საშემსრულებლო ფაკულტეტის ხუს-ის ხელმძღვანელობით მომზადდა ახალი ქვესპეციალობების სასწავლო გეგმები, შესაბამისი სასწავლო კურსები და სილაბუსები:

2.საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის “საშემსრულებლო ხელოვნება” სპეციალობის ‘საორკესტრო-სიმებიანი საკრავების” – “გიტარა”;

3.სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის “საშემსრულებლო ხელოვნება” სპეციალობის “კლავიშიანი საკრავების” ქვესპეციალობის – “ორგანი” (დამტკიცებულია თსკ აკადემიური საბჭოს სხდომაზე).

II. საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) მონიტორინგი

- საანგარიშო პერიოდში სამსახური ახორციელებდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მონიტორინგს და პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობდა პროგრამების სრულყოფისა პროცესში;
- 2012 წლის აპრილში ხუს-ის კოორდინირებით ჩატარდა კონსერვატორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვა (ანკეტა – “სტუდენტის მიერ

სასწავლო პროცესის შეფასება”) და ფაკულტეტების ხუს-ის უფროსებისა და კოორდინატორების მიერ გაკეთდა ანკეტირების შედეგების ანალიზი;

- 2012 წლის დეკემბერში სამსახურის ხელმძღვანელობით ჩატარდა ახალი სასწავლო კურსის“ მუსიკის ტექნოლოგიები ”სტუდენტების გამოკითხვა. განხორციელდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შემუშავდა რეკომენდაციები.

III. პროგრამების შემუშავება, აკრედიტაცია

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო მზადება მოდიფიცირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის; განხორციელდა ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის უფროსებთან და წევრებთან დაგეგმილი მუშაობა:
    - ✓ 1.სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებისთვის საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტაციის გამოთხოვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან;
    - ✓ 2.სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების დამუშავება და მათი მომზადების კოორდინირება;
- პროგრამული აკრედიტაციისთვის პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და სრულყოფა;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადება ქვემოთ ჩამოთვლილი თოთოეული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის:
    - ✓ საშემსრულებლო ხელოვნება
    - ✓ მუსიკისმცოდნეობა
    - ✓ კომპოზიცია
- სამაგისტრო პროგრამების და თვითშეფასების ანგარიშების გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (2012 წ. 21 ივნისი);
- 2012 წლის 18 ივლისს თსკ-ში წარდგენილი პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დანიშნული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი;
- 2012 წლის 26 ივლისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიმართა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა თსკ–ის მიერ წარდგენილი პროგრამების აკრედიტაციის საკითხი და ყველა პროგრამამ მოიპოვა აკრედიტაცია (გადაწყვეტილებები №256, № 257, №258);
- საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტების და მიმართულებების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე კოორდინაციას უწევდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესს. Mმუსიკის თეორიისა და კომპოზიციის ფაკულტეტის რეკომენდაციით დაიწყო მუშაობა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამზე “ გამოყენებითი მუსიკა (ელექტრონული კომპოზიცია, მუსიკალური ჟურნალისტიკა, მუსიკის

მენეჯმენტი)". საშემსრულებლო ფაკულტეტის რეკომენდაციით – საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - "ჯაზის ხელოვნება";

- საქართველოს კანონში "უმაღლესი განათლების შესახებ" ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე (2009 წლის 17 ნოემბერი, # 2078, მე-2 მუხლის გ ქვეპუნქტის – "ჰ 35" ქვეპუნქტი) კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად კოორდინაციას უწევდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (აზერბაიჯანულენოვანთათვს/სომხურენოვანთატვის) შემუშავებაში;
- პროგრამული აკრედიტაციისათვის მზადება. ფაკულტეტების ხარსხის სამსახურის უფროსებთან და წევრებთან შეხვედრა და სამუშაოს დაგეგმვა, მუშაობა პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამებში შემავალი სპეციალობების შესაბამისი მიმართულებების უფროსებთან, პროგრამებში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან;
- ახალი საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებისთვის საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტაციის გამოთხოვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან;
- ახალი საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების დამუშავება და მათი მომზადების კოორდინირება;
- პროგრამული აკრედიტაციისთვის პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მაძიებლად კონსერვატორიის ცნობის მიზნით დოკუმენტაციის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა. შესაბამისი მიმართულებების უფროსებთან, აკადემიური პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად მუშაობის დაწყება კონსერვატორიაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები "საშემსრულებლო ხელოვნება") ახალი სასწავლო გეგმებისა და შესაბამისი სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსების შემუშავებაზე ქვესპეციალობებში: გიტარა (ბაკალავრიატი) და ორგანი (სამაგისტრო).
- 2012 წლის 18 ოქტომბერს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

  1.მუსიკა და დღევანდელობა

  2.ჯაზის ხელოვნება

  3.ქართულ ენაში მომზადების პროგრამა;
- 2012 წლის 29-30 ოქტომბერს თსკ-ში წარდგენილი პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დანიშნული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი;
- 2012 წლის 20 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიმართა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა თსკ–ის მიერ წარდგენილი პროგრამების აკრედიტაციის საკითხი და ყველა პროგრამამ მოიპოვა აკრედიტაცია (გადაწყვეტილებები №707, № 708, №709).

IV. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში

- კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებებზე მუშაობა.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის წესში ცვლილებებზე მუშაობა;
- დიპლომების დანართების სრულყოფა;
- 2012 წლის ოქტომბრიდან თსკ ხარისხის უზრუნველყოფგის სამსახურმა ფაკულტეტების სამსახურებთან ერთად დაიწყო მუშაობა "თსკ აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის გარეშე საქმიანობის შესახებ" ინსტრუქციის დახვეწაზე;
- 2012 წლის ნოემბერში ხუს–მა მიიღო მანაწილეობა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სენატის წევრთა არჩევის წესის შემუშავების პროცესში.

V. საერთაშორისო პროექტები

- საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ნორვეგიის მუსიკალური აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთობლივი პროექტი „უმაღლესი სამუსიკო განათლების მოდეტნიზაცია თბილისის კონსერვატორიაში". პროექტის სამოქმედო გეგმის თანახმად 2012 წელს განხორციელდა მუშაობა სამი ძირითადი მიმართუ;ლებით:
    - ✓ QA სტრატეგიული განვითარება
    - ✓ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
    - ✓ სასწავლო გეგმების დახვეწა;
- 2012 წლის დეკემბერში თსკ ხუს–მა მიიღო მანაწილეობა ტემპუსის ეროვნული ოფისის პროექტში "სადოქტორო პროგრამები საქართველოში – პერსპექტივები და გამოწვევები"
- მაისში დაიწყო თბილისის კონსერვატორიისა და ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის მოკლევადიანი პროექტი. მუშაობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:
    - ✓ სისტემა საქართველოში და მისი სპეციფიკა სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში
    - ✓ ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცედურები და რეგულაციები
    - ✓ საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი და მაგისტრატყურა) სასწავლო გეგმების დიზაინი.

VI. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა. კონსერვატორიის სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და სხვა უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება

- 2012წლის სექტემბერში კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიიღო მონაწილეობა შემოდგომის სემესტრის გარე და შიდა მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღებული კრედიტების აღიარების პროცედურაში.

VII. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მოთხოვნის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა თავი მოუყარა, მოამზადა და გააგზავნა სამინისტროში დადგენილ ვადებში კონსერვატორიაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული და გეგმის გარეშე შესრულებული სამუშაოების კვარტალური ანგარიშები;
  კვარტალში შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის შეგროვდა კონსერვატორიის შემდეგი ერთეულებისაგან: კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, სასწავლო დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო დეპარტამენტი; საზღვარგარეთთან ურთიერთობის დეპარტამენტმი, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, კონსერვტორიის სტუდენტური თვითმმართველობა, კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი, კონსერვატორიის ბიბლიოთეკა.
  სამსახურმა მოახდინა ანგარიშების ანალიზი, განიხილა ანალიზის შედეგები კონსერვატორიის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ერთობლივ სხდომაზა და მუშაობის სრულყოფის მიზნით შემოთავაზა რეკომენდაციები კონსერვატორიის სასწავლო და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებს;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშისთვის შეაგროვა კონსერვატორიის ერთეულებისგან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებებისგან, მიმართულებებისგან თვითშეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია, ცალკეული მონაცემები, რეკომენდაციები. მიღებული მასალების ანალიზის შედეგად მოამზადა ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში და დადგენილ ვადებში გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მიმართულებებთან და სტრუქტურულ ერთელეულებთან ერთად მოამზადა თსკ აკრედიტებული პროფესიული

საგანმანათლებლო, მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები. დადგენილ ვადებში ანგარიშები გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

- მუშაობდა კონსერვატორიის სარეესტრო მონაცემებზე და დადგენილ ვადებში ინფორმაცია მიაწოდაგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მონაწილეობდა კულტურის სამინისტროში არსებულ სახელოვნებო განათლების საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრებში;
- კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში რეაგირებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, საქართველოს კულტურისა და სპორტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებიდან შემოსულ კორესპონდენციაზე.

VIII. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ შეხვედრებში, კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, მასტერკლასებში

- 2012 წლის 16-19 აპრილს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიიყო მონაწილეობა ნორვეგიის ოსლოს მუსიკალური აკადემიის და თსკ ერთობლივი პროექტის ფარგელებში დაგეგმილ და განხორციელებულ შეხვედრებში. მუშაობა განხორციელდა სამი მიმართულებით:
    - ✓ სტრატეგიული განვითარების მიმართულებები
    - ✓ საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო) განვითარება
    - ✓ სასწავლო გეგმების დახვეწა;
- 2012 წლის 8 მაისს ნორვეგიის მუსიკალური აკადემიისა და თსკ -ის ერთობლივი პროექტის მონიტორინგის ჩასატარებლად განხორციელდა შეხვედრა ბარდ ჰეკლანდთან (ნორვეგიის განათლების სამინისტრო), შეხვედრის თემა: "პროექტის პროგრესი და პერსპექტივები";
- 2012 წლის 24, 25 მაისს განხორციელდა ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლების (კონსერევატორიის პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) ვიზიტი. მუშაობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახირთან განხორციელდა სამი მიმართულებით:
    - ✓ QA სისტემა საქართველოში და მისი სპეციფიკა სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში
    - ✓ ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცედურები და რეგულაციები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი და მაგისტრატყურა) სასწავლო გეგმებზე მუშაობა;
- 2012 წლის 24 ოქტომბერს შედგა თსკ ხუს-ის შეხვედრა სტოქჰოლმის საუნივერსიტეტო კოლეჯის " ოპერა ოგსკოლან"-ის წარმომადგენლებთან;
- 2012 წლის 4 დეკემბერს შედგა თსკ ხუს-ის შეხვედრა კატოვიცეს მუსიკის აკადემიის რექტორთან და კანცლერთან.

კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად მუშაობდა ნორმატიულ დოკუმენტაციაზე, მიმდინარე რეკომენდაციებზე, ბრძანებებზე.